დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **პროგრამის დასახელება** - სამართალი

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - სამართლის მაგისტრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** – 120 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა – 4 სემესტრი, სემესტრში – 30 კრედიტი.

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **პროგრამის კოორდინატორი**

- **ვეფხვია გვარამია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი
  პროგრამის ხელმძღვანელები
  - ასოცირებული პროფესორი - **ედიშერ ფუტკარაძე**
  - პროფესორი - **ლალი გაბისონია**
  - ასოცირებული პროფესორი - **ასმათ გუგავა**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული B2 დონე) და სპეციალობაში გამოცდების ჩაბარება (საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=858)

7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი -

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მაგისტრანტისათვის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დავების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების სწორი და ეფექტური გამოყენება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და კვლევის უნარის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს მოსამართლის, პროკურორის და სხვა იურიდიულ პროფესიაში სახელმწიფო სასერთიფიკატო გამოცდების ჩასაბარებლად. სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს კვლევის უნარს, რაც შესაძლებლობას აძლევს სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამით.

8. სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1.	**ცოდნა და გაცნობიერება**	აქვს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის განსხვავებული და ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები.
2.	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**	შეუძლია: პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები გამოიყენოს პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად; ახალ და გაუთვალისწინებელ გარემოში თავისუფლად მოქმედება; განმარტების მეთოდების გამოყენებით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური შეფასება, პრობლემების გადაწყვეტის, სრულიად ახალი ორიგნალური გზების შემუშავება; უახლესი მეთოდებისა და მოდგომების გამოყენებით დამოუკიდებელი კვლევა.
3.	**დასკვნის უნარი**	შეუძლია: ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული მიდგომების კრიტიკული ანალიზი; სამართლის სფეროში არსებული სიახლეების ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სინთეზის გათვალისწინებით, სამართლის დარგების და ინსტიტუტების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით დასკვნის ჩამოყალიბება. სამართალშემოქმედების, სამართალშეფარდების და კვლევითი საქმიანობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით დასკვნის ჩამოყალიბება.
4.	**კომუნიკაციის უნარი**	შეუძლია: აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები; აქტუალურ პრობლემებზე პრეზენტაციის მომზადება, დისკუსია/დებატებში ჩართვა.
5.	**სწავლის უნარი**	შეუძლია: დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სასამართლო გადაწყვეტილებების და სამეცნიერო სტატიების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე გაიფართოოს ცოდნა და მოახდინოს კომპეტენციების მუდმივი განახლება; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა.
6.	**ღირებულებები**	შეუძლია: მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზი; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება; სათანადო გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისი პრინციპებისა და წესების გამოყენება; ახალი ღირებულებების ფორმირებაში წვლილის შეტანა.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის **120 კრედიტი,** მათ შორის:

#	სასწავლო კომპონენტი	ECTS	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				წინაპირობა
			I	II	III	IV	
1.	არჩევითი სასწავლო კურსები	30	30				წინაპირობის გარეშე
2.	არჩევითი სასწავლო კურსები	18		18			წინაპირობის გარეშე
3.	არჩევითი პრაქტიკული კომპონენტი	12		12			წინაპირობის გარეშე
4.	არჩევითი პრაქტიკული კომპონენტი	18			18		წინაპირობის გარეშე
5.	აკადემიური წერა	12			12		წინაპირობის გარეშე
6.	სამაგისტრო ნაშრომი	30				30	1-3 სემესტრის კომპონენტები
ს უ ლ		**120**	**30**	**30**	**30**	**30**	

- **სასწავლო კომპონენტი - 48 კრედიტი,** რომელიც ემყარება სტუდენტის თავისუფალ არჩევანს სასწავლო კურსების შემდეგი ჩამონათვალიდან:

#	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	კრედიტი
I.		**კერძო სამართლის მიმართულება**		
1.	LAW M201	ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში	არჩევითი	6
2.	LAW M202	შედარებითი კერძო სამართალი	არჩევითი	6
3.	LAW M203	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	არჩევითი	6
4.	LAW M204	სატრანსპორტო გადაყვანა-გადაზიდვების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება	არჩევითი	6
5.	LAW M205	შედარებითი სამოქალაქო სამართლის პროცესი	არჩევითი	6
6.	LAW M206	საბანკო- საკრედიტო სამართალი	არჩევითი	6
7.	LAW M207	საკუთრება ქართულ და ევროპულ სამართალში	არჩევითი	6
8.	LAW M208	საერთაშორისო არბიტრაჟი (ქართულ და გერმანულ ენაზე)	არჩევითი	6

9.	LAW M208	სანივთო -სამართლებრივი დავების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში	არჩევითი	6
10.	LAW M209	საერთაშორისო ბიზნეს-სამართალი	არჩევითი	6
II.		სისხლის სამართლის მიმართულება		
1.	LAW M211	მოძღვრება დანაშაულზე	არჩევითი	6
2.	LAW M212	სასჯელის მოძღვრება	არჩევითი	6
3.	LAW M213	ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გაღრმავების პრაქტიკული კურსი	არჩევითი	6
4.	LAW M214	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	არჩევითი	6
5.	LAW M215	კორუფციული დანაშაული	არჩევითი	6
6.	LAW M216	ევროპული სისხლის სამართალი	არჩევითი	6
7.	LAW M217	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	არჩევითი	6
8.	LAW M218	დანაშაულის გახსნის მეთოდიკა	არჩევითი	6
9.	LAW M219	სასამართლო მჭევრმეტყველება და დაცვის ხელოვნება	არჩევითი	6
10.	LAW M220	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება (ქართულ და ინგლისურ ენაზე)	არჩევითი	6
11.	LAW M221	ნარკოტიკული დანაშაული	არჩევითი	6
12.	LAW M245	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	არჩევითი	6
III.		საჯარო სამართლის მიმართულება		
1.	LAW M221	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	არჩევითი	6
2.	LAW M222	კონსტიტუციური მართლმსაჯულება და სასამართლო პრაქტიკა	არჩევითი	6
3.	LAW M223	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	არჩევითი	6
4.	LAW M224	ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრობლემები	არჩევითი	6
5.	LAW M225	კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები	არჩევითი	6
6.	LAW M226	სახელმწიფოთა ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის მოდელები	არჩევითი	6

7.	LAW M227	შედარებითი მუნიციპალური სამართალი	არჩევითი	**6**
8.	LAW M228	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები	არჩევითი	**6**
9.	LAW M229	შედარებითი ეკოლოგიური სამართალი	არჩევითი	**6**
10.	LAW M230	ძალის გამოუყენებლობის პრინციპი და ძალის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევები საერთაშორისო სამართალში (ქართულ და ინგლისურ ენაზე)	არჩევითი	**6**
11.	LAW M231	საერთაშორისო საზღვაო სამართალი	არჩევითი	**6**
12.	LAW M232	ინტნერპოლის და ევროპოლის ფარგლებში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა	არჩევითი	**6**
13.	LAW M233	საერთაშორისო საბაჟო სამართალი	არჩევითი	**6**
14.	LAW M234	სამართლის ფილოსოფია	არჩევითი	**6**

- **სამეცნიერო კვლევის 42 კრედიტიანი კომპონენტი,** რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს მოეთხოვება **12 კრედიტიანი აკადემიური წერის** (LAW M235) შესწავლა **და სამაგისტრო ნაშრომის** (LAW M245) შესრულება **- 30 კრედიტი.**
- **პრაქტიკული კომპონენტი - 30 კრედიტი**

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული **მინიმუმ 30 კრედიტიანი** კომპონენტიდან აუცილებელია სამიდან ერთი **18 კრედიტიანი** კლინიკის გავლა. დანარჩენი **12 კრედიტი** მაგისტრანტს შეუძლია შეივსოს **6 კრედიტიანი** კლინიკებიდან ან სასამართლო უნარ - ჩვევებით სისხლის სამართლის საქმეებზე **(6 კრედიტი)** ან სამოსამართლო ეთიკის **(6 კრედიტი)** გავლით.

სამი სავალდებულო კლინიკა, რომელთა შორის სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთი:

- იურიდიული კლინიკის ბაზაზე კერძო და საჯარო სამართალში იურიდიული დახმარება (LAW M236) **- 18 კრედიტი;**
- იურიდიული კლინიკის ბაზაზე პრაქტიკული სამართლის სწავლება (LAW M237) **- 18 კრედიტი;**
- საადვოკატო კლინიკა (LAW M238) **- 18 კრედიტი .**

*კლინიკების ჩამონათვალი, რომლის გავლითაც სტუდენტს შეუძლია შეივსოს **12 კრედიტი:***

- ცენტრალური საარჩევნო კომისის კლინიკა (LAW M238) **- 6 კრედიტი;**
- კრიმინალისტიკის კლინიკა (LAW M239) **6 კრედიტი;**
- სანოტარო კლინიკა (LAW M240) **- 6 კრედიტი;**
- აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კლინიკა (LAW M241) **- 6 კრედიტი;**
- საქალაქო სასამართლოს კლინიკა (LAW M242) **- 6 კრედიტი.**